



ფინანსური აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვაშტიკიძე”

სოციალური სფეროს აუდიტის

დეპარტამენტის უფროსი

ზაზა შეყილაძე

“27” ივლისი 2018 წელი

№ 50/36

ეგზ.: №1

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტროს 2017 წლის 31
დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდის კონსოლიდირებული ანგარიშგების
ფინანსური აუდიტის ანგარიში

სარჩევი

ტერმინთა განმარტება.....	4
ინფორმაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესახებ ..	5
1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე	8
1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	8
1.2 პირობითი მოსაზრების საფუძველი	9
1.2.1 მოკლევადიანი აქტივები	9
1.2.1.1 მოთხოვნები	9
1.2.1.2 მატერიალური მარაგები	10
1.2.1.3 საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვების შეუძლებლობა (მასშტაბის შეზღუდვა)	11
1.2.2 გრძელვადიანი აქტივები	13
1.2.2.1 აქციები და სხვა კაპიტალი	14
1.2.2.2 ძირითადი აქტივები	15
1.2.2.3 საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვების შეუძლებლობა (მასშტაბის შეზღუდვა)	16
1.2.3 ვალდებულებები	16
1.2.3.1 აღურიცხავი ვალდებულებები	16
1.2.3.2 უცხოურ ვალუტაში აღურიცხული დავალიანება	17
1.2.3.3 საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვების შეუძლებლობა (მასშტაბის შეზღუდვა)	17
1.2.4 ხარჯები	18
1.2.5 საცნობარო მუხლი	19
2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	19
2.1 სააღრიცხვო პოლიტიკა	19
2.2 კონსოლიდაცია	20
2.3 მოკლევადიანი აქტივები	20
2.3.1 ფულადი სახსრები	20
2.3.2 დებიტორული დავალიანება	20
2.4 კლასიფიკაცია	20
2.5 ადმინისტრაციული ხელშეკრულება	21
2.6 ხარჯი	21
2.6.1 შრომის ანაზღაურება	21
2.6.2 მივლინება	22
2.7 ბიუჯეტის დაგეგმვა	22
2.7.1 სოფლის ექიმი	22

2.7.2 სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა	22
2.7.3 სარეზერვო ფონდი	23
2.7.4 შრომის ანაზღაურება	23
2.8 პროგრამული ბიუჯეტირება	25
2.9 მონიტორინგი.....	26
2.10 საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა	27
2.11 გაცემული რეკომენდაციების შესრულება	28
3. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	28
4. აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	29
5. აუდიტორთა ხელმოწერა	31
6. დანართები: სამინისტროს (პროგრამული კოდი: 35 00) ფინანსური ანგარიშგება	32

ტერმინთა განმარტება

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - **სამინისტრო**.
2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი - **ცენტრალური აპარატი**.
3. სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო - **სააგენტო**.
4. სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი - **ცენტრი**.
5. სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების ფონდი - **ფონდი**.
6. სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი- **დახმარების ცენტრი**.
7. სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო - **რეგულირების სააგენტო**.
8. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის შესაფერისი საფუძვლები - **წარდგენის საფუძვლები**.
9. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №429 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინსტრუქცია - **ინსტრუქცია**.

ინფორმაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესახებ

სამინისტრო არის სამთავრობო დაწესებულება¹, რომელიც უზრუნველყოფს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო მმართველობასა და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას.

სამინისტროს საქმიანობის სფერო და ამოცანებია:

ა) მოსახლეობის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება და საქმიანობის კოორდინაცია;

ბ) ჯანმრთელობის დაცვის სფეროში:

ბ.ა) ინდივიდუალური სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა;

ბ.ბ) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა;

ბ.გ) სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირება;

გ) სოციალური დაცვის სფეროში:

გ.ა) მოსახლეობის მიზნობრივი სოციალური დახმარებით უზრუნველყოფა;

გ.ბ) კანონმდებლობით განსაზღვრული სოციალური ჯგუფებისათვის შესაბამისი გასაცემლების დადგენილ ვადებში მიწოდების უზრუნველყოფა;

გ.გ) ბავშვებზე ზრუნვა;

გ.დ) ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა.

დ) შრომისა და დასაქმების სფეროში:

დ.ა) შრომითი ურთიერთობებისა და სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობა;


დ.ბ) შრომითი მიგრაციის რეგულირება;

დ.გ) დასაქმების ხელშეწყობა, არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის საკითხების კოორდინაცია;

დ.დ) ორგანიზაცია-დაწესებულებებში შრომის უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების დანერგვისა და შრომითი დისკრიმინაციის შემთხვევების აღმოფხვრის ხელშეწყობა.

¹ საქართველოს კონსტიტუციის 81² მუხლისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

სქემა №1. სამინისტროს სტრუქტურა (სამინისტროს დაქვემდებარებული უწყება)



2017 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის, დაზუსტებული ბიუჯეტის და საკასო ხარჯების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში (ათას ლარებში):²

ცხრილი №1. დამტკიცებული, დაზუსტებული ბიუჯეტი და საკასო ხარჯი (ათას ლარებში)

დასახელება	დამტკიცებული	დაზუსტებული	საკასო	შესრულება
	1	2	3	3/2
ჯამური	3,415,800	3,418,029	3,446,939	101%
ხარჯები	3,398,804	3,406,526	3,424,387	101%
არაფინანსური აქტივების ზრდა	16,996	11,173	21,274	190%
ვალდებულებების კლება	-	331	1,277	386%

სამინისტროს სისტემა (საბიუჯეტო კოდი: 35 00) შედგება 4 ძირითადი საქმიანობის მიმართულებისგან, რომელსაც მართავს სამინისტროს სისტემაში შემავალი 6 უწყება (საბიუჯეტო კოდი: 35 01).

ცხრილი №2. დამტკიცებული, დაზუსტებული ბიუჯეტი და საკასო ხარჯი (ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	დამტკიცებული	დაზუსტებული	საკასო	დამტკიცებული ბიუჯეტის წილი მთლიან ბიუჯეტში
35 01	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა	49,296	51,938	58,977	1,4%
35 02	მოსახლეობის სოციალური დაცვა	2,438,000	2,401,307	2,400,747	71,4%
35 03	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა	894,454	941,660	964,120	26,2%
35 04	სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა	30,000	20,502	20,640	0,88%
35 05	შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა	4,050	2,622	2,456	0.12%
სულ		3,415,800	3,418,029	3,446,940	100%

² ცხრილი არ მოიცავს საკუთარ სახსრებს, 100%-ზე მეტი შესრულების მაჩვენებლი კი გამოწვეულია მიზნობრივი გრანტებით.

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას

1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს:

-)/ ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
-)/ ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებას;
-)/ ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
-)/ კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას;
-)/ ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგებას;
-)/ ასევე მათთან დაკავშირებულ დანართებს³ აღნიშნული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლების აბზაცში აღწერილი საკითხების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

³ -საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება, დანართები 1-დან 13-მდე.

1.2 პირობითი მოსაზრების საფუძველი

1.2.1 მოკლევადიანი აქტივები

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამინისტროს მოკლევადიანი აქტივების ნაშთი შეადგენდა 1,917,628,229 ლარს, რომელიც საანგარიშო პერიოდში შემცირებულია 1,293,854,359 ლარამდე. მოკლევადიანი აქტივების სტრუქტურა შემდეგია:

ცხრილი №3. მოკლევადიანი აქტივები:

დასახელება	31.12.2017	31.12.2016	ცვლილება
ფულადი სახსრები	14,983,199	9,802,361	5,180,838
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	29,872,536	16,382,106	13,490,430
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	33,876,785	26,761,982	7,114,803
სხვა მატერიალური მარაგები	1,215,121,839	1,864,681,780	(649,559,941)
სულ:	1,293,854,359	1,917,628,229	(623,773,870)

მოკლევადიანი აქტივების შემცირება ძირითადად გამოწვეულია გაკოტრებული ორგანიზაციების მიმართ რიცხული დებიტორული დავალიანების, შემდგომი გამოყენებისთვის გამოუსადეგარი და გახარჯული მატერიალური მარაგების ჩამოწერით.

1.2.1.1 მოთხოვნები

- სააგენტოს არ აქვს აღრიცხული სამედიცინო დაწესებულებების მიმართ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემოწმების შედეგად წარმოქმნილი 131,779 ლარის დებიტორული დავალიანება;
- ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღრიცხული შემოსავლების სამსახურის პირადი ბარათის მონაცემებით საგადასახადო აქტივების ნაშთები 2017 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, 183,712 და 187,251 ლარი⁴.

მოთხოვნების აღურიცხავობის შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივების(რესურსების) შესახებ ინფორმაცია არასრულად, შემცირებულად არის წარმოდგენილი, რაც ზრდის ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლის (პარლამენტი, ფინანსთა სამინისტრო) მხრიდან ფისკალური პარამეტრების დაგეგმვის პროცესში შეუსაბამო გადაწყვეტილებების მიღების რისკებს.

⁴ სააგენტო - 75,438 ლარი და 79,531 ლარი, რეგულირების სააგენტო - 13,831 ლარი და 13,452 ლარი, ფონდი - 11,890 ლარი და 11,715 ლარი და ცენტრალური აპარატი - 82,553 ლარი და 82,553 ლარი.

- სააგენტოს „სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნების“ ანგარიშზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხულია 203,945 ლარის დებიტორული დავალიანება, რომელიც სააგენტოს, როგორც სოციალური დაზღვევის ფონდის უფლებამონაცვლეს, გადმოეცა მისი გაუქმების შედეგად, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით კი აღნიშნული დავალიანების ამოღების ალბათობა ნულია.

1.2.1.2 მატერიალური მარაგები

- ცენტრალურ აპარატს „სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების“ ანგარიშზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული აქვს 326,693 ლარის მატერიალური მარაგები, რომელიც სამინისტროს შეფასებით შემდგომი გამოყენებისთვის გამოუსადეგარია.
- სააგენტოს ადრინდელი პროგრამის ფარგლებში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სააგენტოს აღრიცხული აქვს ვადაგასული მედიკამენტები, სულ - 26,236,866 ლარის ოდენობით. სააგენტოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის განმარტებით, აღნიშნულის გამოწვევ ძირითად მიზეზს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ პროგრამის ამოქმედების თავდაპირველ ეტაპზე (2015 წელი) ძირითად სამკურნალო პრეპარატს წარმოადგენდა სოფოსბუვირი, რომელიც სამკურნალო რეჟიმების მიხედვით ინიშნებოდა სხვა მედიკამენტებთან (ინტერფერონი და რიბავირინი) კომბინაციით. 2016 წლის თებერვლიდან აღნიშნული პრეპარატი ჩანაცვლდა ახალი თაობის მედიკამენტით-ჰარვონით, რომლის მიხედვითაც შეიცვალა სამკურნალო რეჟიმები, რამაც მკვეთრად შეამცირა თავდაპირველ ეტაპზე გამოყენებული პრეპარატების (სოფოსბუვირი, ინტერფერონი და რიბავირინი) მოხმარება.
- დიალიზის, თირკმლის ტრანსპლანტაციის პროგრამის ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების შესყიდვისა და მიწოდების კომპონენტის ფარგლებში მატერიალურ მარაგებს სააგენტო გადასცემს 27 სამედიცინო დაწესებულებას, რომლებიც მომსახურებას უწევენ პროგრამის ბენეფიციარებს. მატერიალური მარაგების მიღებისა და გასვლის ოპერაციის ბუღალტრული გატარების საფუძველია სამმხრივი მიღება-ჩაბარების აქტი მარაგების გადაცემის შესახებ - სააგენტოს, მედიკამენტის მომწოდებელ ორგანიზაციასა და სამედიცინო დაწესებულებას შორის. მატერიალური მარაგის სამედიცინო დაწესებულებისთვის გადაცემა არ აკმაყოფილებს მისი ხარჯად აღიარების კრიტერიუმს⁵, ხარჯვის შესახებ ინფორმაციას სამედიცინო დაწესებულებები სააგენტოს წარუდგენენ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფორმების⁶ შესაბამისად, რომელშიც ასევე აღნიშნულია თვის საწყისი და საბოლოო ნაშთის რაოდენობრივი მაჩვენებელი. სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, 2017 წლის

⁵ ინსტრუქცია, მუხლი 85, პუნქტი 3.

⁶ სააგენტოს 2016 წლის 17 თებერვლის №04-69/ო ბრძანება და 2017 წლის 7 თებერვლის №04-60/ო.

1 იანვრისა და 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სამკურნალო საშუალებების ნაშთი შეადგენდა შესაბამისად, 1,939,025 ლარსა და 2,951,718 ლარს⁷.

მოცემული უზუსტობები ქმნის პროგრამის ფარგლებში მისაწოდებელი სამედიცინო სერვისის მედიკამენტებით უზრუნველყოფის დამახინჯებულ სურათს, ასევე ზრდის მედიკამენტების საჭიროების განსაზღვრის და მისი განაწილების დროს არაადეკვატური გადაწყვეტილებების მიღების რისკს.

1.2.1.3 საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვების შეუძლებლობა(მასშტაბის შეზღუდვა)⁸

- J) დასტურის წერილის გასაგზავნად ცენტრალური აპარატისა და სააგენტოს დებიტორული დავალიანების რეესტრიდან შერჩეულია 91 ორგანიზაცია, რომელთა დავალიანება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 30,307,621 ლარს. პასუხი მიღებულია 38 ორგანიზაციისგან, საიდანაც დადასტურებულია მხოლოდ 8 ორგანიზაციის დებიტორული დავალიანება - 4,207,110 ლარი, რაც შეადგენს შერჩეული ორგანიზაციების დავალიანების მხოლოდ 14%-ს. დებიტორული დავალიანების დასადასტურებლად ძირითადი აუდიტორული პროცედურები (გარე დადასტურება) საკმარისი არ აღმოჩნდა და ვერც ალტერნატიული პროცედურების განხორციელება გახდა შესაძლებელი, ვინაიდან სააგენტოს დებიტორული დავალიანების დიდ ნაწილს შეადგენს ხანდაზმული დავალიანებები, რომლებიც წარმოქმნილია სახელმწიფო პროგრამების ზედამხედველობის ფარგლებში დაკისრებული საჯარიმო სანქციებით. თანხების ბიუჯეტში აღდგენას ორგანიზაციები ახორციელებენ ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხვით. იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციას საგადახდო დავალებაში არ აქვს მითითებული დავალიანების წარმოქმნის საფუძველი ან არ არის საგადახდო დავალება წარმოდგენილი სააგენტოში, ხაზინის ამონაწერით ვერ ხერხდება იმ დავალიანების იდენტიფიცირება, რომლის დაფარვის მიზნითაც განხორციელდა გადახდა. ცენტრალურ აპარატში კი არ არის განხორციელებული მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაცია და შესაბამისად, არ არის გაფორმებული შედარების აქტები;
- J) ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია რეფერალური მომსახურების პროგრამის ფარგლებში 2006-2017 წლამდე პერიოდში 919 ფიზიკური პირის⁹ მიმართ წარმოშობილი დებიტორული დავალიანება, სულ 13,450,817 ლარი¹⁰. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარები

⁷ სააგენტოს მიერ წარმოდგენილი რაოდენობები და ღირებულება უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშებულია 2016 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის კურსით.

⁸ აუდიტორს არ შეუძლია საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, რათა დაასკვნას, რომ მთლიანად ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას.

⁹ ცენტრალური აპარატში 2006-2010 წლამდე პერიოდში - 101 ფიზიკური პირი და სააგენტოში 2010 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში - 818 ფიზიკური პირი.

¹⁰ ცენტრალურ აპარატში - 2,024,027 ლარი, სააგენტოში - 11,426,790 ლარი.

დახმარებას იღებენ კომისიის¹¹ საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტული ბენეფიციარისთვის ქვეყნის გარეთ სამედიცინო დაწესებულებაში მომსახურების მისაღებად გადასარიცხ თანხას. გადაწყვეტილების საფუძველზე ფორმდება შეთანხმება ბენეფიციართან/მისი ნდობით აღჭურვილ პირთან, რომლის მიხედვით, იგი ვალდებულია გამგზავრების წინ წარმოადგინოს გამგზავრების დამადასტურებელი დოკუმენტი (ბილეთი/ჯავშანი), ხოლო მიღებული მომსახურების შემდეგ არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა - შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტები. ასევე ბენეფიციარი/მისი ნდობით აღჭურვილი პირი ვალდებულია სააგენტოს აცნობოს საზღვარგარეთ სამკურნალო დაწესებულებების მიერ მისთვის გადარიცხული თანხის არასრულად გამოყენების თაობაზე და არ გამოიტანოს აღნიშნული თანხა სამკურნალო დაწესებულებიდან. ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში კი ბენეფიციარი ან/და მისი ნდობით აღჭურვილი პირი ვალდებულია სააგენტოში სრულად დააბრუნოს მისთვის გამოყოფილი თანხა.

სამინისტროს განმარტებით, დებიტორული დავალიანება აღიარდება თანხის გადარიცხვის დროს, რომლის ჩამოწერის საფუძველი არის ბენეფიციარის ან/და მისი ნდობით აღჭურვილი პირის მიერ წარმოდგენილი მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. სამინისტროს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მისაღებად, შესაბამისი ღონისძიებები არ გაუტარებია¹². დებიტორული დავალიანების დასადასტურებლად დასტურის წერილი ვერ გაიგზავნა და არც აუდიტის ობიექტს შეუფასებია დებიტორული დავალიანება ინსტრუქციის 43-ე მუხლის 31-ე პუნქტის შესაბამისად¹³;

ქ) ფინანსურ ანგარიშგებაში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხულია 2010 წლამდე 19 პირის მიმართ წარმოშობილი 303,227 ლარის¹⁴ დებიტორული დავალიანება, რომლის წარმოშობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას სამინისტრო არ ფლობს. ამასთანავე, ნაშთების რეალურობის დადგენის მიზნით, მოთხოვნების ინვენტარიზაციის დროს ორგანიზაციებთან არ გაფორმებულა ურთიერთშედარების აქტები.

ქ) ფინანსურ ანგარიშგებაში - „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით“, ანგარიშზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხულია 444,194 ლარის¹⁵ დავალიანება, ხოლო

¹¹ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ნოემბრის N331 დადგენილების შესაბამისად შექმნილი კომისია.

¹² ცენტრალურმა აპარატმა დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა, ხოლო სააგენტომ წარმოადგინა 2018 წლამდე 247,579 ლარის თანხების შესაბამისად გაგზავნილი წერილების შესახებ ინფორმაცია.

¹³ დებიტორის გაკოტრების შემთხვევაში, ან დებიტორული დავალიანებების თანხები, რომლებზედაც ძიების ხანდაზმულობის ვადა გასულია, რომელთა ამოღებაზე სასამართლომ უარი განაცხადა, ან რომელთა ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, ჩამოიწერება ხელმძღვანელის ბრძანებით და აისახება არასაოპერაციო ხარჯების ანგარიშზე.

¹⁴ სააგენტო - 199,530 ლარი და ფონდი - 103,697 ლარი.

¹⁵ ცენტრალური აპარატის 2010 წლამდე წარმოქმნილი 424,066 ლარი და ფონდის 2006 წლიდან - 2016 წლამდე წარმოქმნილი 20,128 ლარი.

დანაკლისის აღდგენისთვის გატარებული ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია¹⁶
სამინისტრომ ვერ წარმოადგინა;

-)/ ცენტრალურ აპარატსა და რეგულირების სააგენტოში 2017 წელს არ ჩატარებულა მატერიალური მარაგების სავალდებულო ინვენტარიზაცია. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კი აღრიცხულია 2,048,647 ლარის მატერიალური მარაგები.
-)/ C ჰეპატიტის მართვის პროგრამის ფარგლებში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული მატერიალური მარაგების ნაშთი შეადგენდა 1,188,788,129 ლარს. აღნიშნული მარაგები ინახებოდა როგორც სააგენტოს საწყობებში - შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრსა“ და „მედიფარმა პლუსში“, ისე პროგრამაში ჩართულ 32 სამედიცინო დაწესებულებაში, საიდანაც ბენეფიციარებზე გაიცემოდა მედიკამენტები. სააგენტოს 2017 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგების უწყისის თანახმად C ჰეპატიტის მართვის პროგრამის ფარგლებში არ დაფიქსირებულა ზედმეტობა/დანაკლისი, თუმცა სააგენტოს დეტალური აღწერების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ინვენტარიზაცია ჩატარებულია მხოლოდ საწყობებში და არა სამედიცინო დაწესებულებებში. სამედიცინო დაწესებულებებში კი, განხორციელებულია მედიკამენტების მონიტორინგი 2017 წლის 6 ივნისიდან 22 ნოემბრის ჩათვლით¹⁷. ამასთანავე პროგრამის მართვისთვის გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფა მოიცავს დაწესებულებებს შორის შიდა გადაცემებს, რომლებიც არ არის გამიჯნული მედიკამენტის რეალური მიღების და ბენეფიციარზე გაცემის მონაცემებისგან.

ზემოაღნიშნული უზუსტობების შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №1) მოკლევადიანი აქტივების საწყისი ნაშთი შემცირებულია 1,918,792 ლარით, საბოლოო ნაშთი კი გაზრდილია 23,496,756 ლარით¹⁸, ხოლო 42,347,396 ლარის საბოლოო ნაშთის მოკლევადიანი აქტივების არსებობაზე, სიზუსტესა და სისრულეზე ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები.

1.2.2 გრძელვადიანი აქტივები

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს გრძელვადიანი აქტივების საწყისი ნაშთი შეადგენდა 333,704,562 ლარს, რომელიც საანგარიშო პერიოდში გაზრდილია 343,238,680 ლარამდე. გრძელვადიანი აქტივების სტრუქტურა წარმოდგენილია ცხრილის სახით:

¹⁶ სამართალდამცავ ორგანოებთან გადაგზავნილი მასალები ან 2017 წელს გადაგზავნილი წერილები საქმის მიმდინარეობის შესახებ

¹⁷ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს №04-323/ო ბრძანება, 2017 წლის 16 მაისი.

¹⁸ ინსტრუქცია, მუხლი 43, პუნქტი 1; მუხლი 17, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

დასახელება	31.12.2017	31.12.2016	ცვლილება
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	4,947,419	4,947,419	-
სტრატეგიული მარაგები	-	3,655,856	(3,655,856)
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	863,729	881,333	(17,604)
ძირითადი აქტივები	315,668,734	307,315,765	8,352,969
არაწარმოებული აქტივები	21,758,798	16,904,189	4,854,609
სულ:	343,238,680	333,704,562	9,534,118

გრძელვადიანი აქტივების ზრდა ძირითადად გამოწვეულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციის გათვალისწინების შედეგად აღურიცხავი ძირითადი აქტივების შეფასებით და შესაბამის ბუღალტრულ ანგარიშებზე ასახვით.

1.2.2.1 აქციები და სხვა კაპიტალი

2014 წლის 3 ნოემბრიდან სამინისტრო არის შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“¹⁹ 100%-იანი წილის მმართველი 5 წლის ვადით, ხელშეკრულებით, მმართველი პირი აღჭურვილია მესაკუთრის (მაკონტროლებლის) უფლებამოსილებით, კერძოდ:

-)/ წარმოების სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყება და/ან მათი შეწყვეტა;
-)/ წესდების შემუშავება;
-)/ ანგარიშგების პროექტის განხილვა და დამტკიცება;
-)/ წმინდა მოგების განაწილება და ა.შ.

2014 წლიდან სამინისტროს მართვის ქვეშ მყოფი სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს კაპიტალში, ფულადი და ქონებრივი სახით სულ განხორციელებული აქვს 25,661,369 ლარის შენატანი²⁰. აღნიშნული ფულადი და ქონებრივი სახის შენატანებს სამინისტრო აღრიცხავდა როგორც მიმდინარე პერიოდის სხვა ხარჯებს, ნაცვლად, გრძელვადიანი ფინანსური აქტივებისა. ამასთანავე, შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ კაპიტალიდან სამინისტროს ამოღებული აქვს 3,004,071 ლარის ოდენობის ქონება²¹. აღნიშნული ოპერაციები სამინისტროს სააღრიცხვო რეგისტრებსა და შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული არ არის.

¹⁹ საიდენტიფიკაციო კოდი 236035517.

²⁰ 2014 წელს - 5,137,507 ლარი, 2015 წელს - 9,472,656 ლარი, 2016 წელს - 6,176,300 ლარი და 2017 წელს - 4,874,906 ლარი.

²¹ 2016 წელს - 3,001,239 ლარი და 2017 წელს - 2,832 ლარი.

შედეგად, ფინანსური ანგარიშგების მომხარებლები არ არიან უზრუნველყოფილი იმ მნიშვნელოვანი ინფორმაციით, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ მოცემულ შპს-ის კაპიტალში განხორციელებულ ინვესტიციასთან.

1.2.2.2 ძირითადი აქტივები

- ჟ) ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ღირებულებით შეფასებული დროებით სარგებლობაში გადმოცემული დახმარების ცენტრის 1,099 კვ.მ²² და ფონდის 16,123 კვ.მ²³ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;
- ჟ) ცენტრალური აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში დაუმთავრებელი აქტივების ანგარიშზე აღრიცხულია 439,920 ლარის საპროექტო მომსახურების ღირებულება, მათ შორის, აუდიტის ობიექტის განმარტებით, 3 პროექტის მიხედვით (საპროექტო მომსახურების ღირებულება 361,020 ლარი) სამშენებლო სამუშაოები არ განხორციელებულა და მათი შემდგომი გამოყენება შეუძლებელია, ხოლო 3 პროექტის მიხედვით (საპროექტო მომსახურების ღირებულება 78,900 ლარი), სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია. კერძოდ:

ცხრილი №5. დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები:

დასახელება	ღირებულება	შესყიდვის/გადმოცემის წელი	მდგომარეობა
ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნიზაციის სამეცნიერო - პრაქტიკული ცენტრის პროექტი	195,020.00	2011	პროექტი აღარ განხორციელდება
ფსიქიატრიულის პროექტი	151,000.00	2012	პროექტი აღარ განხორციელდება
სამინისტროს თანამშრომელთათვის სასადილოს პროექტი	15,000.00	2012	პროექტი აღარ განხორციელდება
ნარკოლოგიის ცენტრის ვენტილაციის სისტემის პროექტირება	2,500.00	2012	მშენებლობა დასრულებულია
სოფელ ბორითში აშენებული გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კლინიკის პროექტი	71,450.00	2014	მშენებლობა დასრულებულია
გუდაურის გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების ცენტრის პროექტი	4,950.00	2014	მშენებლობა დასრულებულია
სულ:	439,920		

²² საკადასტრო კოდი: 01.72.14.006.872.

²³ საკადასტრო კოდი: 71.51.01.385.

1.2.2.3 საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვების შეუძლებლობა (მასშტაბის შეზღუდვა)

ცენტალურ აპარატში 2017 წელს არ ჩატარებულა ძირითადი აქტივების სავალდებულო ინვენტარიზაცია, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კი აღრიცხულია 2,621,260 ლარის ძირითადი აქტივები.

ზემოაღნიშნული უზუსტობების შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №1) გრძელვადიანი აქტივების საწყისი და საბოლოო ნაშთი შემცირებულია 17,785,244 ლარით და 22,217,378 ლარით²⁴, ხოლო 2,621,260 ლარის საბოლოო ნაშთის გრძელვადიანი აქტივების არსებობასა და სისრულეზე ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები.

1.2.3 ვალდებულებები

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს ვალდებულების საწყისი ნაშთი შეადგენდა 16,726,224 ლარს, რომელიც საანგარიშო პერიოდში გაზრდილია 42,944,033 ლარამდე. ვალდებულების სტრუქტურა შემდეგია:

ცხრილი №6. ვალდებულებები:

დასახელება	31.12.2017	31.12.2016	ცვლილება
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	46,449	-	46,449
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	40,500,641	16,151,802	24,348,839
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	2,396,943	574,422	1,822,521
სულ:	42,944,033	16,726,224	26,217,809

ვალდებულების ზრდა ძირითადად გამოწვეულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციის შესრულებით, კერძოდ, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აღურიცხავი დავალიანებების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვით.

1.2.3.1 აღურიცხავი ვალდებულებები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2015 და 2016 წლების საანგარიშგებო პერიოდების ფინანსური აუდიტის ანგარიშებში აღნიშნული იყო საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დეკემბრის თვეში წარმოქმნილი აღურიცხავი დავალიანებების შესახებ. დავალიანებების

²⁴ ინსტრუქცია მუხლი 17, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

აღრიცხვის შესახებ რეკომენდაცია გათვალისწინებულია ნაწილობრივ. კერძოდ, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ასანაზღაურებელი შემთხვევების მიხედვით, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, სამედიცინო დაწესებულებების მიმართ წარმოშობილი კრედიტორული დავალიანება შეადგენდა 30,253,327 ლარს, საიდანაც აღურიცხავია 6,221,673 ლარის დავალიანება.

1.2.3.2 უცხოურ ვალუტაში აღრიცხული დავალიანება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სააგენტოს აღრიცხული აქვს უცხოურ ვალუტაში წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანება შესაბამის ლარის ექვივალენტში, რომელიც წლის ბოლოს არ არის გადაფასებული²⁵ სულ 12,654 ლარს.

ვალდებულებების არასრულად ასახვა ზრდის ფინანსური ანგარიშგების იმ მომხმარებლების მხრიდან (პარლამენტი, ფინანსთა სამინისტრო) არასწორი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, რომლებიც აფასებენ სამინისტროს მიერ მომსახურების მიწოდების ადეკვატური დონის შენარჩუნებას. ფინანსურ ანგარიშგებაში მიმდინარე ვალდებულების თაობაზე არასრულად (შემცირებულად) წარმოდგენილი ინფორმაცია იწვევს სამინისტროზე გასანაწილებელი საბიუჯეტო რესურსის შესახებ არაადეკვატური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და საფრთხის წინაშე აყენებს ბენეფიციარებისათვის სამედიცინო სერვისების მიწოდების შესაძლებლობას.

1.2.3.3 საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვების შეუძლებლობა (მასშტაბის შეზღუდვა)

) დასტურის წერილის გასაგზავნად ცენტრალური აპარატის და სააგენტოს კრედიტორული დავალიანების რეესტრიდან შერჩეულია 61 ორგანიზაცია, რომელთა დავალიანება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 29,461,581 ლარს. ცენტრალურ აპარატს არ გაუგზავნია დასტურის წერილები მათი ხანდაზმულობის გამო, ხოლო სააგენტოს 29 ორგანიზაციიდან პასუხი მიღებულია 12 ორგანიზაციისგან, საიდანაც არცერთი დავალიანება არ დადასტურდა.

კრედიტორული დავალიანების დასადასტურებლად ძირითადი აუდიტორული პროცედურები (გარე დადასტურება) საკმარისი არ აღმოჩნდა და ვერც ალტერნატიული პროცედურების განხორციელება გახდა შესაძლებელი, ვინაიდან სააგენტოს კრედიტორული დავალიანების დიდ წილს შეადგენს სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში წარმოქმნილი დავალიანებები. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს წარმოდგენა სამედიცინო დაწესებულებებს შეუძლიათ 3 საანგარიშგებო თვის ვადაში. შესაბამისად, მათ აღრიცხვაში ასახულია ის დავალიანებები, რომელთა წარმოქმნის საფუძველი

²⁵ ინსტრუქცია, მუხლი 66, პუნქტი 18.

ორგანიზაციას სამინისტროში ასანაზღაურებლად არ წარმოუდგენია, ხოლო ცენტრალურ აპარატში არ არის განხორციელებული მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაცია და შესაბამისად, არ არის გაფორმებული შედარების აქტები;

- .) ფინანსურ ანგარიშგებაში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხულია 2004 წლიდან 2010 წლამდე წარმოქმნილი ხანდაზმული 307,452 ლარის²⁶ კრედიტორული დავალიანება, რომლის წარმოშობის დამდასტურებელ დოკუმენტაციას სამინისტრო არ ფლობს. ამასთანავე, ნაშთების რეალურობის დადგენის მიზნით, ინვენტარიზაციისას ორგანიზაციებთან ურთიერთშედეგების აქტები არ გაფორმდა.

ზემოაღნიშნული უზუსტობების შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №1) ფინანსური ვალდებულებების საბოლოო ნაშთი შემცირებულია - 6,234,327 ლარით²⁷, ხოლო 29,769,033 ლარის საბოლოო ნაშთის კრედიტორული დავალიანების არსებობასა და სიზუსტეზე ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულები.

1.2.4 ხარჯები

ცენტრალური აპარატის 2017 წლის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში მიმდინარე ხარჯის კორექტირებით (ხარჯის შემცირებით) აღდგენილია წინა წელს ხარჯებში შეცდომით ჩამოწერილი მატერიალური მარაგები, სულ 46,539 ლარი, ხოლო სააგენტოში მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებულია წინა წელს გახარჯული მარაგები, სულ 4,410,217 ლარი. აღნიშნული ეწინააღმდეგება ინსტრუქციის მოთხოვნებს²⁸, რომლის მიხედვით, შეცდომის გასწორება ხდება მისი დაშვების შემდგომ ადრეული საანგარიშგებო პერიოდისთვის ფინანსური ანგარიშგების აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის საწყისი ნაშთების გადაანგარიშებით, რომელიც ასევე ნაჩვენებია უნდა იყოს ფორმა №4-ში.

შეცდომის გასწორების არასწორი სააღრიცხვო პოლიტიკა იწვევს ხარჯების შესახებ ინფორმაციის არაშესაძარისობას, რომელიც, თავის მხრივ, არ იძლევა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლის მხრიდან ფინანსური შედეგების (წმინდა ღირებულებების) ტენდენციების შეფასების საშუალებას ან ქმნის მისი არაობიექტური შეფასების საფუძველს.

ზემოაღნიშნული უზუსტობების შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში (ფორმა №2) გაზრდილია ხარჯი და წმინდა ღირებულებების საწყისი ნაშთი (ფორმა №1) 4,363,678 ლარით²⁹.

²⁶ ფონდის - 51,392 ლარი და ცენტრალური აპარატის - 256,060 ლარი.

²⁷ ინსტრუქცია, მუხლი 17, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „კ“; მუხლი 66, პუნქტი 18.

²⁸ ინსტრუქცია მუხლი 14, პუნქტი 10.

²⁹ ინსტრუქცია მუხლი 14, პუნქტი 10.

1.2.5 საცნობარო მუხლი

ბალანსის საცნობარო მუხლში „პირობითი მოთხოვნები“ (05) 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის აღრიცხული 2017 წელს განხილვის სტადიაში მყოფი სასამართლო საქმესთან დაკავშირებული მოთხოვნები და სს „ლიბერთი ბანკისგან“ გამოთხოვილი სახელმწიფო გასაცემლის თანხები, რომლებიც არ დაბრუნებულა და წარმოადგენს სადავო თანხებს, სულ, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 609,236 ლარი.

აღნიშნული პირობითი ინსტრუმენტის ასახვა მნიშვნელოვანია ფინანსური პოლიტიკისა და ანალიზისათვის, ვინაიდან იძლევა ინფორმაციას პოტენციური აქტივების შესახებ. ამასთანავე, პირობითი ინსტრუმენტის შესახებ ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების სხვა არცერთ კომპონენტში არ არის ასახული, რის გამოც მისი ინვენტარიზაცია საცნობარო მუხლში რეგისტრაციის გარეშე შეუძლებელია.

აუდიტს წარვმართავდით უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი ანგარიშის ნაწილში სახელწოდებით, „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ, უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) ეთიკის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, ვართ სამინისტროსგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ს მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 სააღრიცხვო პოლიტიკა

სამინისტროს სისტემაში არ არის დანერგილი ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა, როგორც ეს განსაზღვრულია ინსტრუქციის 39-ე მუხლის 33-ე და 34-ე პუნქტებით. სისტემაში დანერგილი ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა უზრუნველყოფდა და გააუმჯობესებდა, როგორც სამინისტროს დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულების ფინანსური ანგარიშგებების, ცალკეული პროგრამების ფინანსური ანგარიშგებების, ასევე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას, საიმედოობას და შესადარისობას, ასევე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენისას კონსოლიდაციის სისწორეს, შესაბამისობას და შესადარისობას.

2.2 კონსოლიდაცია

სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში კონსოლიდაციის დროს არ იყო გამორიცხული დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს შორის განხორციელებული ოპერაციები, სულ 194,989,950 ლარი. შედეგად, სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა №2-ში - 194,989,950 ლარით გაზრდილი იყო გრანტის სახით მიღებული შემოსავალი და გაწეული ხარჯი³⁰; აღნიშნული უზუსტობა გასწორებულია მიმდინარე აუდიტის პროცესში ფინანსური ანგარიშგების კორექტირების დროს.

2.3 მოკლევადიანი აქტივები

2.3.1 ფულადი სახსრები

ცენტრალურ აპარატს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ანგარიშზე მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსებისათვის აღრიცხული ჰქონდა 315,491 ლარი, ხოლო წარმოდგენილი ხაზინის ამონაწერის მიხედვით, ანგარიშზე არსებული საბოლოო ნაშთი შეადგენდა 185,152 ლარს.

შედეგად, სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გაზრდილი იყო ფულადი სახსრების ნაშთი 130,339 ლარით. აღნიშნული უზუსტობა გასწორებულია მიმდინარე აუდიტის პროცესში ფინანსური ანგარიშგების კორექტირების დროს.

2.3.2 დებიტორული დავალიანება

- J) ფინანსურ ანგარიშგებაში ირიცხება დებიტორული დავალიანება იმ იურიდიული პირების მიმართ, რომელთა შემთხვევაში 2016 წელს ძალაში შესულია სასამართლო განჩინება მოვალის გაკოტრებულად გამოცხადების და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ, სულ 99,691 ლარი.
- J) სააგენტოს არ ჰქონდა აღრიცხული სამედიცინო დაწესებულებების მიმართ შემოწმების შედეგად წარმოქმნილი 436,225 ლარის დებიტორული დავალიანება. აღნიშნული უზუსტობა გასწორებულია მიმდინარე აუდიტის პროცესში ფინანსური ანგარიშგების კორექტირების დროს.

2.4 კლასიფიკაცია

დებულების თანახმად, სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირია ახალგორის ბავშვთა საადმინისტრაციო დაწესებულება, რომლის ბალანსზე აღრიცხულია 148,213 ლარის ღირებულების საცხოვრებელი შენობები, რომლებიც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია იდენტური კლასიფიკაციით. აღნიშნული ქონება მდებარეობს საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე, რის გამოც ის არ

³⁰ ინსტრუქციის მუხლი 39, პუნქტი 30.

აკმაყოფილებს საცხოვრებელი შენობის აღიარების კრიტერიუმებს და აღრიცხული უნდა ყოფილიყო ანგარიშზე - „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით“.

2.5 ადმინისტრაციული ხელშეკრულება

2014 წლიდან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის პროგრამით გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში, სამინისტროს შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიისთვის“³¹ „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების“ მუხლით გადარიცხული აქვს 35,500,000 ლარი³², ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით. თანხის გადარიცხვის საფუძველია სამინისტროსა და შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“ შორის გაფორმებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური და არაეფექტიანი ხარჯვის რისკებს, ვინაიდან მოცემული ხელშეკრულებით არ რეგულირდება მშენებლობის ვადები, ხარისხი, ასევე ამ პროცესში მხარეთა უფლება-მოვალეობები არ არის განსაზღვრული.

2.6 ხარჯი

2.6.1 შრომის ანაზღაურება

-)/ დასაქმებულ პირებზე კვარტალში 2-ჯერ და 3-ჯერ არის გაცემული პრემიები: ცენტრალურ აპარატში - 59,595 ლარი, სააგენტოში - 2,200 ლარი, სულ 61,795 ლარი. შედეგად, დარღვეულია №449 დადგენილება, რომლის მიხედვით, საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირზე პრემია შეიძლება გაიცეს კვარტალში ერთხელ³³;
-)/ სააგენტოში, ფონდსა და დახმარების ცენტრში დანამატების გაცემის ფორმალური საფუძველია ხელმძღვანელის ბრძანება, რომელიც ეფუძნება კონკრეტული დეპარტამენტის მოხსენებით ბარათს. დახმარების ცენტრისა და ფონდის მოხსენებით ბარათებში ყოველთვიურად გამოყენებულია ერთი და იგივე სტანდარტული ტექსტი, ხოლო სააგენტოში მოხსენებითი ბარათები არ არის შედგენილი კონკრეტული პირების მიხედვით და მოიცავს დეპარტამენტის შესრულებულ სამუშაოებს ერთიანად;
-)/ თანამშრომელთა სამუშაო დროის მკაცრი აღრიცხვის სისტემის ფორმა (ტაბელი) არ იყო დამტკიცებული. ამასთანავე, წარმოდგენილ ტაბელებში არ ფიქსირდებოდა ინფორმაცია თანამშრომელთა მიერ ზეგანაკვეთური მუშაობის შესახებ.

³¹ ს/კ- 205140257, რომელიც წარმოადგენს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შპს-ს.

³² 2014 წელს 9,500,000, 2015 წელს 5,000,000, 2016 წელს 11,000,000 და 2017 წელს 10,000,000 ლარი.

³³ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის დადგენილება №449, მუხლი 5, პუნქტი 2.

2.6.2 მივლინება

სააგენტოს და რეგულირების სააგენტოს თანამშრომლები 2017 წელს იმყოფებოდნენ მივლინებაში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, „ქვეყნის შიგნით მივლინებისას საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯების ანაზღაურებისათვის მოსამსახურეს ეძლევა თანხა არა უმეტეს საშუალო კლასის სასტუმროს ნომრის ღირებულებისა“³⁴.

სააგენტოსა და რეგულირების სააგენტოს მიერ არ იყო შემუშავებული ქვეყნის შიგნით მივლინების პოლიტიკა. კერძოდ, სააგენტოს განმარტებით, საშუალო კლასის სასტუმროს ნომრის ღირებულება დგინდება ინტერნეტრესურსებზე არსებული ინფორმაციის შესაბამისად, რეგულირების სააგენტოს კი 2011 წლის შემდეგ ამ მიზნით ბაზრის კვლევა არ ჩატარებია.

2.7 ბიუჯეტის დაგეგმვა

2.7.1 სოფლის ექიმი

სოფლის ექიმი არის უმაღლესი სამედიცინო განათლებისა და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე პირი, რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი პროფესიული მომზადების ციკლი და ახორციელებს სოფლის მოსახლეობისათვის ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების მიწოდებას, სახელმწიფო პროგრამის - „სოფლის ექიმის“ (კოდი: 35 03 03 08) ფარგლებში³⁵. პროგრამის მიზანია პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე მოსახლეობის გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა. სამინისტროსა და სოფლის ექიმებს/ექთნებს შორის გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება. სამინისტროს, 2014 წლიდან 2017 წლის ჩათვლით, „სოფლის ექიმის“ პროგრამის ფარგლებში კონტრაქტით გაფორმებული ექიმებისა და ექთნების ერთჯერადი გასაცემლის დასაფინანსებლად აუთვისებული თანხა „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან გადაჰქონდა „სხვა ხარჯების“ მუხლში. შესაბამისად, სამინისტრო ყოველწლიურად გასცემდა ერთჯერად გასაცემელს, რომელიც ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე არ იყო გათვალისწინებული შესაბამის მუხლში.

2.7.2 სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა

საბიუჯეტო განაცხადით სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვის სახელმწიფო პროგრამით (კოდი: 35 04) გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით, მოთხოვნილი და დამტკიცებული თანხა შეადგენდა 30,000,000 ლარს, რომელიც მოიცავდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის სამშენებლო სამუშაოებს და აღჭურვას, შესაბამისად, 13,000,000 ლარის და 6,688,000 ლარის ოდენობით. პროექტის სახარჯთაღრიცხვო ჯამური ღირებულება შეადგენდა 41,262,060 ლარს. სამინისტროს განმარტებით,

³⁴ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის №231 ბრძანებულების დანართი №1-ის მე-14 პუნქტი; საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №211 დადგენილება მუხლი 3, პუნქტი 16.

³⁵ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის დადგენილება №638, დანართი 19.

2016 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით შესრულებული იყო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების ნახევარი, სულ - 20,718,302 ლარი. მთავრობის დადგენილებით, მოცემული პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების/ღონისძიებების ჯამური ღირებულება შეადგენდა 20,688,200 ლარს³⁶. დადგენილებით არ იყო გათვალისწინებული სოფელ რუხის მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის აღჭურვის თანხა, ხოლო მისი სამშენებლო სამუშაოები განისაზღვრა მხოლოდ 10,000,000 ლარით. შესაბამისად, საბიუჯეტო განაცხადით მოთხოვნილია იმ სამედიცინო დაწესებულების აღჭურვის თანხა, რომლის მშენებლობაც საბიუჯეტო წელს ვერ დასრულდებოდა. შედეგად, საბიუჯეტო განაცხადით მოთხოვნილი ე.წ. „ნამეტი“ რესურსი 9,497,610 ლარის ოდენობით, ხარჯთაღრიცხვის ცვლილებებით გადატანილ იქნა სხვა პროგრამებში.

2.7.3 სარეზერვო ფონდი

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების (კოდი: 35 02 02) ქვეპროგრამიდან, სხვადასხვა პროგრამის შესრულების მიზნებისათვის, აგვისტოსა და დეკემბერში ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის (კოდი: 35 03 03 11) და მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის (კოდი: 35 03 01) ქვეპროგრამაზე გადატანილი ასიგნებების ოდენობამ 27,183,800 ლარი შეადგინა, მაშინ როდესაც, სამინისტროს მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების (კოდი: 35 02 02) ქვეპროგრამისთვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 2017 წელს მიღებული აქვს 2,789,347 ლარი, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №381 დადგენილების - „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ნაწილობრივი სუბსიდირების შესახებ“ შესასრულებლად. აღნიშნული ხარჯი არ წარმოადგენდა გაუთვალისწინებელ გადასახდელს და შესაძლებელი იყო მოვლენის/ღონისძიების გათვალისწინება ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე. ამასთანავე, აღნიშნული ღონისძიების დაფინანსებისთვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხები გამოყოფილია წინა წლებში: 2015 წელს - 1,158,000 ლარი, 2016 წელს - 3,812,079 ლარი. რაც ასევე აღნიშნულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიშში.

2.7.4 შრომის ანაზღაურება

სამინისტროს 2017 წლის 28 დეკემბრის N01/79953 წერილით მოთხოვნილია ცენტრალური აპარატის და სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისთვის საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით ასიგნებების გაზრდა იმ პროგრამების აუთსორსინგის რესურსის ხარჯზე, რომელთა ათვისებაც წინა წელსაც დაბალი იყო, თუმცა 2017 წელს საბიუჯეტო განაცხადით მოთხოვნილია წინა წლის ანალოგიური თანხა:


³⁶ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 იანვრის დადგენილება №32.

ცხრილი №7. პროგრამების შესრულება და საბიუჯეტო განაცხადით მოთხოვნილი თანხა:

პროგრამული კოდი	დასახელება	დამტკიცებული ბიუჯეტი (2016 წელი)	შესრულების მაჩვენებელი (2016 წელი)	დამტკიცებული ბიუჯეტი (2017 წელი)	პრემიის მუხლში გადატანილი თანხა
35 03 04	დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლება	1,000,000	58%	1,000,000	645,600
35 05 01	შრომის ბაზრის ანალიზის, ინფორმაციული სისტემის დანერგვა/განვითარება	785,000	51%	785,000	261,000
35 05 02	დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება	676,000	31%	676,000	180,000
35 05 03	შრომის პირობების ინსპექტირება	550,000	48%	575,000	92,400
35 05 04	სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება	2,014,000	65%	2,014,000	200,000

სამინისტროში საშტატო რიცხოვნობისა და შრომის ანაზღაურების ფონდის დაგეგმვისას არ ხდება უწყებაში ფაქტობრივად შტატით დასაქმებულ მომუშავეთა ოდენობის გათვალისწინება და გეგმური საშტატო რიცხოვნობის რეალური მაჩვენებლის განსაზღვრა. აღნიშნულის შედეგად, წლის განმავლობაში რეალურად დასაქმებულ მომუშავეთა რიცხოვნობა ჩამორჩება ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე განსაზღვრულ რაოდენობას, 2017 წელს ვაკანტური პოზიციები საშუალოდ წარმოადგენდა 18%-ს, რის გამოც, „შრომის ანაზღაურების“ მუხლში იქმნება ხელოვნური ეკონომია რომელიც ან აუთვისებელი რჩება, ან ნაწილდება თანამშრომლებზე სხვადასხვა ტიპის მატერიალური წახალისების სახით. დამტკიცებულ საშტატო განრიგსა და რეალურად დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შემდეგია:

დიაგრამა №1. დამტკიცებული და რეალურად დასაქმებული თანამშრომლები:



2.8 პროგრამული ბიუჯეტირება

პროგრამის/ქვეპროგრამის ინდიკატორების შემთხვევაში არ ხდება ცდომილების აღბათობისა და შესაძლო რისკების მაჩვენებლების განსაზღვრა. ინდიკატორში აღნიშნული მაჩვენებლის წარმოდგენის შემთხვევაში კი, მოყვანილი მონაცემები არარეალისტურია ან არ შეესაბამება მიზნობრივ მაჩვენებელს, კერძოდ:

- „უსაფრთხო სისხლი“ (კოდი: 35 03 02 04) - ინდიკატორის მიზნობრივ მაჩვენებელს წარმოადგენს „უანგარო დონაციათა რაოდენობის ზრდა: 50%“, ცდომილების აღბათობაში კი მოცემულია მაჩვენებელი „მაღალი“, რაც მიუთითებს მიზნობრივი მაჩვენებლის გაანგარიშების არარეალისტურობაზე. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ცდომილების აღბათობის მაჩვენებელი არ არის გაზომვადი და არ ექვემდებარება გამოთვლას, რაც ასევე აღნიშნულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე დასკვნაში.

პროგრამა საჭიროებს დამატებით ინდიკატორს, რათა სრულყოფილად იქნეს შეფასებული მიღწეული საბოლოო/შუალედური შედეგები. კერძოდ:

-
-)/ იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა (კოდი: 35 03 03 06) - ინდიკატორი გაზომვადია და ანგარიშგება - შესაბამისი, თუმცა ანგარიშგებაში წარმოდგენილი სტაციონარული მომსახურება არ იყო გათვალისწინებული საბაზისო და მიზნობრივ მაჩვენებლებში;
 -)/ სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება (კოდი: 35 03 03 07) - ინდიკატორი გაზომვადია და ანგარიშგება შეესაბამება ინდიკატორს, თუმცა ექიმთა გადამზადება არ იყო გათვალისწინებული საბაზისო და მიზნობრივ მაჩვენებლებში და წარმოდგენილია ანგარიშგებაში.

რიგი პროგრამებისა და ქვეპროგრამების საბოლოო და შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები ვერ უზრუნველყოფენ მიღწეული შედეგების შეფასებას, რადგან ინდიკატორი არარელევანტურია, არასწორადაა ფორმულირებული, ან არ წარმოადგენს ეფექტიანობის საზომს. კერძოდ:

-)/ ჯანმრთელობის ხელშეწყობა (კოდი: 35 03 02 11) - არ არის განსაზღვრული საბაზისო მაჩვენებელი, მიზნობრივი მაჩვენებელია სოციალური მედიით სამიზნე პოპულაციის მოცვა; კლიპების რაოდენობა, ჩატარებული კამპანიების რაოდენობა, დამზადებული ფლაერების რაოდენობა და ა.შ. რაც არ არის გამოხატული რაოდენობრივ მაჩვენებელში;
-)/ რეფერალური მომსახურება (კოდი: 35 03 03 09) - საბაზისო მაჩვენებელი წარმოდგენილია რაოდენობრივ ჭრილში, მიზნობრივი მაჩვენებელი კი არ იძლევა შეფასების შესაძლებლობას, რადგან არ არის დაკონკრეტებული რას გულისხმობს ადეკვატური რაოდენობა;
-)/ აივ ინფექცია/შიდსის მართვა (კოდი: 35 03 02 08) - სკრინინგული კვლევის მიზნობრივი მაჩვენებელი მოიცავს საბაზისო მაჩვენებელზე მეტ კვლევას, რაც არ იძლევა შეფასების შესაძლებლობას, რადგან არ არის დაკონკრეტებული, რას გულისხმობს მეტი რაოდენობა.

2.9 მონიტორინგი

სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამების ზედამხედველობის ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენს მონიტორინგი, რომლის განხორციელებისას ხდება მიმწოდებელთან განმახორციელებლის უფლებამოსილი პირის ვიზიტი და შეტყობინებისას მიწოდებული ინფორმაციის გადამოწმება, მიმწოდებლისაგან მომსახურებასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მოთხოვნა, საჭიროებისამებრ, პაციენტთან, მისი ოჯახის წევრებთან და შემთხვევასთან დაკავშირებულ სხვა პირებთან გასაუბრება. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ფარგლებში მონიტორინგს ექვემდებარება ყოველი მე-5 შემთხვევა, ხოლო C ჰეპატიტის მართვის და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამების ფარგლებში მონიტორინგს დაქვემდებარებული შემთხვევები შეირჩევა უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით. განხორციელებული მონიტორინგების რაოდენობა შემდეგია:

- ქ) ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში 2017 წელს 33,918 შეტყობინება დააფიქსირა 60-მა სამედიცინო დაწესებულებამ და განხორციელდა 9,292 შემთხვევის მონიტორინგი. აღსანიშნავია, რომ 8 სამედიცინო დაწესებულებაში (სულ: 1,347 შემთხვევა) თითოეულის მიერ დაფიქსირებული შემთხვევების 90% და მეტი შემოწმდა, მაშინ როცა, 12 სამედიცინო დაწესებულებაში, რომლებმაც 504 შეტყობინება დააფიქსირეს მონიტორინგი არ განხორციელებულა. წლის განმავლობაში, 58 კონკრეტულ დღეს დაფიქსირებული შეტყობინების შესაბამისად, მონიტორინგი უნდა განხორციელებულიყო 1,077 შემთხვევაში, საიდანაც შემოწმებულია 840 შემთხვევა;
- ქ) 2017 წელს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში 395-მა სამედიცინო დაწესებულებამ დააფიქსირა 1,247,569 შემთხვევა; მონიტორინგი არ განხორციელებულა 142 სამედიცინო დაწესებულებაში, რომელთაც წლის განმავლობაში დაფიქსირებული ჰქონდათ 115,074 შეტყობინება, არ შემოწმებულა 899,457 შეტყობინება, რაც დაფიქსირებული შემთხვევების 72%-ია;
- ქ) C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 2017 წელს 32-მა სამედიცინო დაწესებულებამ დააფიქსირა 33,739 შეტყობინება; მონიტორინგი არ განხორციელებულა 24 სამედიცინო დაწესებულებაში (75%), რომელთაც დაფიქსირებული აქვთ 23,085 შეტყობინება, არ შემოწმებულა შეტყობინებათა 68%.

2.10 საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა

- ქ) საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის³⁷ ფარგლებში 2017 წლის 11 თებერვლის შემდგომ გამოცემული აქტების შედეგად დაკისრებული საჯარიმო სანქციებისთვის ამოქმედდა³⁸ საჯარიმო სანქციების გადახდის ადმინისტრირების ახალი წესი. პროგრამის განმახორციელებელი ზედამხედველობის შედეგად დაკისრებული საჯარიმო სანქციების აღსრულებას უზრუნველყოფს მიმწოდებლისათვის თითოეულ საანგარიშგებო პერიოდში ასანაზღაურებელი თანხის 50%-დან საჯარიმო სანქციების ჯამური ოდენობის 20%-ის დაკავების გზით, ვალდებულების სრულად შესრულებამდე და დასაკავებელი თანხები გამოიქვითება სამედიცინო დაწესებულების მიმდინარე შესრულებიდან. აღნიშნული ეწინააღმდეგება საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნებს³⁹. კერძოდ, საბიუჯეტო სისტემის უნივერსალობის პრინციპს, რომლის მიხედვით, არც ერთი შემოსულობა, გარდა დონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობებისა, არ უნდა იქნეს მიმართული მიზნობრივად, კონკრეტული გადასახდელის დასაფინანსებლად. საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ მიღებული შემოსულობების შენარჩუნება კი საკუთარი მიზნებისათვის

³⁷ 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილება.

³⁸ 2017 წლის 27 იანვრის №51 დადგენილება.

³⁹ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 4, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ვ“.

დაუშვებელია. საქართველოს საბიუჯეტო სისტემის თითოეული მონაწილე ვალდებულია საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე დაიცვას საბიუჯეტო პრინციპები;

-) საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში სამედიცინო დაწესებულებები გაწეული მომსახურების ასანაზღაურებლად სამი თვის ვადაში სააგენტოში წარადგენენ შესრულებული სამუშაოს(ბენეფიციარისთვის გაწეული მომსახურების) დამადასტურებელ დოკუმენტაციას. თანხის ანაზღაურებისთვის, 60 სამუშაო დღის განმავლობაში⁴⁰, პროგრამის განმახორციელებელი ვალდებულია განახორციელოს დოკუმენტაციის ინსპექტირება. აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა 2017 წლის და 2018 წლის 1 მარტამდე გადარიცხვების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების ინსპექტირების ვადები, რის შედეგადაც ინსპექტირების დასრულების ვადა აჭარბებდა დადგენილ ნორმას, სულ: 12,827 შემთხვევაში.

2.11 გაცემული რეკომენდაციების შესრულება

2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად⁴¹ გაცემული იყო 17 რეკომენდაცია, საიდანაც შესრულებულია - 16 და შეუსრულებელია 1 დავალიანების კონტროლის გარემოს შესახებ გაცემული რეკომენდაცია. აღნიშნული გულისხმობდა კორესპონდენციის განახლებას ვალდებულების/მოთხოვნის არსებობის დასადასტურებლად, შედარების აქტების, თუ სხვა დოკუმენტაციის მოწესრიგებას, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა იმ დავალიანებების გამოვლენას, რომლებიც აღურიცხავია ან/და ანაზღაურებულია და ექვემდებარება ჩამოწერას, ასევე რეგისტრაცია გაუქმებული ორგანიზაციების იდენტიფიცირებას, რათა არ მომხდარიყო ფინანსური ანგარიშგების მუხლების არასწორად წარდგენა. ცენტრალურ აპარატსა და სააგენტოში შედარების აქტები და შესაბამისი ღონისძიებები 2017 წელს არ გატარებულა.

3. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად

⁴⁰ 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილება, მუხლი 14, პუნქტი 2.

⁴¹ დამტკიცების თარიღი - 20.03.2017.

მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს ერთეულის ფუნქციონირებადობის (საჯარო მომსახურების უწყვეტად მიწოდების) უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენებასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განზრახულია ერთეულის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან ასეთი ქმედების რეალური ალტერნატივა არ არსებობს.

4. აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცლაკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას.

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. ამასთანავე, ჩვენ აგრეთვე:

- 1) ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისათვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;

-
-)/ შვეიცარიის აუდიტისათვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავეგემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ სამინისტროს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
 -)/ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
 -)/ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელების მიერ ანგარიშგების საფუძველად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ვადგენთ არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პრობლემებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ფუნქციონირებადობასთან (უწყვეტობასთან) დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, სადაც აღწერილია აღნიშნული განუსაზღვრელობები, ან თუ ამგვარი შენიშვნები ადეკვატური არ არის - გამოვთქვათ მოდიფიცირებული მოსაზრება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, აუდიტის დასკვნის თარიღის შემდგომი მოვლენების ან პრობლემების გავლენით, სამინისტრო შესაძლოა აღარ იყოს ფუნქციონირებადი ერთეული;
 -)/ მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროს სისტემაში შემავალი და მის მიერ კონტროლირებული ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებულ (ნაერთ) ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი პასუხისმგებლობა ვრცელდება კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე;
 -)/ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით; აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

5. აუდიტორთა ხელმოწერა

აუდიტორთა ხელმოწერა:

ხელმოწერა

სახელი, გვარი

მარიამ ჭოლოკავა




უფროსი აუდიტორი

ბონდო გასვიანი



წამყვანი აუდიტორი

თამთა მელქაძე



აუდიტორი

თამარ ზურაშვილი



უფროსი აუდიტორ-ასისტენტი

ვიქტორია არუთინოვი



უფროსი აუდიტორ-ასისტენტი

6. დანართები: სამინისტროს (პროგრამული კოდი: 35 00) ფინანსური ანგარიშგება

ფორმა №1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)

დასახელება	ანგარიში	2017 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წელი)	2016 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წლის წინა წელი)
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები	1100-1200	14,983,199	9,802,361
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1300	29,872,536	16,382,106
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1400	33,876,785	26,761,982
სხვა მატერიალური მარაგები	1620	1,215,121,839	1,864,681,780
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,293,854,359	1,917,628,229
გრძელვადიანი აქტივები			
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	1500	4,947,419	4,947,419
სტრატეგიული მარაგები	1610	-	3,655,856
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	863,729	881,333
ძირითადი აქტივები	2100	315,668,734	307,315,765
ფასეულობები	2300		
არაწარმოებული აქტივები	2400	21,758,798	16,904,189
საინვესტიციო ქონება	2500		
სულ გრძელვადიანი აქტივები		343,238,680	333,704,562
ბალანსი		1,637,093,039	2,251,332,791
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები			
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100	46,449	-
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3200	40,500,641	16,151,802
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები		40,547,090	16,151,802
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3300	2,396,943	574,422

ფინანსური აუდიტის ანგარიში

სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,396,943	574,422
სულ ვალდებულებები		42,944,033	16,726,224
კაპიტალი			
აქტივების წმინდა ღირებულება	5100	1,590,814,703	2,231,838,961
გაუნაწილებელი მოგება	5220	3,488,922	2,922,225
დაუფარავი ზარალი	5230	154,619	154,619
სულ კაპიტალი		1,594,149,006	2,234,606,567
ბალანსი		1,637,093,039	2,251,332,791

ფორმა №2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში

დასახელება	2017 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წელი)			2016 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წელი)
	ბიუჯეტი	ეკონომიური საქმიანობა	სულ	
ბიუჯეტიდან დაფინანსება	3,446,938,980		3,446,938,980	3,265,213,330
შემოსავლები (030+040+050+060)	3,204,898,505	1,256,487	3,206,154,992	6,047,227,382
გადასახადები			-	-
სოციალური შენატანები			-	-
გრანტები	11,055,071	1,643	11,056,714	548,480,573
სხვა შემოსავლები (070+080+090+100+110)	3,193,843,434	1,254,844	3,195,098,278	5,498,746,809
ა) შემოსავლები საკუთრებიდან	-	33,769	33,769	50,244
ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	20,249	1,113,763	1,134,012	905,796
გ) სანქციები, ჯარიმები, საურავები	12,540,371	23,581	12,563,952	3,788,457
დ) ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა	3,181,161,387	13,732	3,181,175,119	5,493,874,675
ე) სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	121,427	69,999	191,426	127,637
სულ: (010+020)	6,651,837,485	1,256,487	6,653,093,972	9,312,440,712
ხარჯები				
მომუშავეთა ანაზღაურება	32,916,933	327,884	33,244,817	35,158,186
საქონელი და მომსახურება	67,106,296	298,886	67,405,182	62,382,955
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	12,129,730	56,163	12,185,893	11,551,994
პროცენტი			-	-

ფინანსური აუდიტის ანგარიში

სუბსიდიები	9,597,610		9,597,610	8,604,507
გრანტები	18,699,124	-	18,699,124	29,732,550
სოციალური უზრუნველყოფა	6,939,340,502	-	6,939,340,502	7,465,812,489
სხვა ხარჯები	223,784,893	6,471	223,791,364	50,285,766
სულ: (140+150+160+170+180+190+200+210)	7,303,575,088	689,404	7,304,264,492	7,663,528,447
ფინანსური შედეგი (120-220)	(651,737,603)	567,083	(651,170,520)	1,648,912,265

ფორმა №3. ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში

დასახელება	ბაზინის ერთიანი ანგარიში	საკუთარი ფულადი სახსრები	მესამე პირის გადახდები	სულ
წმინდა ღირებულება/მოგება - ზარალი	(641,024,258)	566,698		(640,457,560)
კორექტირებები:¹	657,699,458	(35,912)		657,663,546
ცვლელ (+)	12,129,730	56,163		12,185,893
აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+) ²	(12,832,789)	(13,713)		(12,846,502)
მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	653,290,472	(74,675)		653,215,797
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები (-/+)	12,394	5,210		17,604
დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	(18,987,035)	(3,747)		(18,990,782)
კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	24,086,686	(5,150)		24,081,536
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან³	16,675,200	530,786	-	17,205,986
ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან				
არაფინანსური აქტივების გაყიდვა	-	-		
ძირითადი აქტივები				
სტრატეგიული მარაგები				
ფასეულობები				
არაწარმოებული აქტივები				
არაფინანსური აქტივების შესყიდვა	12,266,713	16,364		12,283,077
ძირითადი აქტივები	12,266,488	16,364		12,282,852
სტრატეგიული მარაგები				-

ფინანსური აუდიტის ანგარიში

ფასეულობები				-
არაწარმოებული აქტივები	225			225
წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან ⁴	(12,266,713)	(16,364)	-	(12,283,077)
ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა				
წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა	46,449			46,449
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან⁵	46,449			46,449
ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება⁶	4,454,936	514,422		4,969,358
ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	9,000,457	801,904		9,802,361
ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	13,667,182	1,316,017		14,983,199
ვალუტა და დეპოზიტებით მიღებული კურსთაშორისი სხვაობა (-/+)				
დროებით შეზღუდული თანხები (აკრედიტივები)				

ფორმა №4. კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიში

(საანგარიშო წელი)			
დასახელება	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	სულ
საწყისი ნაშთი	2,231,820,212	2,767,606	2,234,587,818
სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები			-
წინა პერიოდ(ებ)ის შეცდომები	18,749		18,749
გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი (010+020+030)	2,231,838,961	2,767,606	2,234,606,567
არასაოპერაციო შემოსავლები (060+070)	26,828,784	14,513	26,843,297
კურსთაშორისი სხვაობით მიღებული შემოსავალი	1,189,025		1,189,025
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	25,639,759	14,513	25,654,272
არასაოპერაციო ხარჯები (090+100)	10,740,859	9,532	10,750,391
კურსთაშორისი სხვაობით მიღებული ზარალი	239,997		239,997
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	10,500,862	9,532	10,510,394

ფინანსური აუდიტის ანგარიში

ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები (120+130)	5,374,580	5,367	5,379,947
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით	5,374,580		5,374,580
მოგების გადასახადი		5,367	5,367
საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	(651,737,603)	567,083	(651,170,520)
ნაშთი წლის ბოლოს (040+050-080-110+140)	1,590,814,703	3,334,303	1,594,149,006

ფორმა №5. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიში

დასახელება	ბიუჯეტით დამტკიცებუ ლი გეგმით	დაზუსტებუ ლი გეგმით	გადახრა % დამტკიცებ ულ და დაზუსტებუ ლ გეგმას შორის	საკასო (ფაქტობრი ვი) ხარჯი	გადახრა % საკასო (ფაქტობრივ) ხარჯსა და დაზუსტებ ულ გეგმას შორის	დარიცხუ ლი ხარჯი	გადახრა დარიცხუ ლ და საკასო (ფაქტობრი ვი) ხარჯს შორის
ხარჯები	3,398,804,000	3,406,525,828	100	3,424,387,374	101	7,303,575,088	219
მათ შორის:							
შრომის ანაზღაურება	28,776,000	30,153,000	95	32,918,088	109	32,916,933	100
არაფინანსური აქტივების ზრდა	16,996,000	11,172,485	152	21,274,365	190	-	-
ფინანსური აქტივების ზრდა	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებები ს კლება	-	331,034	-	1,277,241	-	-	-

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

წარმოგიდგენთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის და სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ფინანსური მდგომარეობის შესახებ (ორგანიზაციული კოდი: 3500) ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებას (ბალანსს) 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც უტყუარად წარმოადგენს ინფორმაციას ფინანსური შესრულებისა და ფულადი სახსრების ნაკადის შესახებ. ხარჯები გაწეულია ასიგნებების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესასრულებლად. წარმოდგენილი ანგარიშგება ყველა არსებით საკითხში ემთხვევა მოდიფიცირებული საკასო მეთოდით ფინანსური ანგარიშგების შედგენის მოთხოვნებს.

ფულადი ნაკადების მოძრაობა წარმოებს სახელმწიფო ბიუჯეტის, გრანტის და ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ფარგლებში.

არაფინანსური აქტივები ანგარიშგებაში ასახულია საბალანსო ღირებულებით, ძირითადი კაპიტალის მოხმარების ხარჯების გათვალისწინებით და მათი შეფასება ხდება სალიკვიდაციო ღირებულების განსაზღვრის გარეშე.

წინა საანგარიშგებო პერიოდში გამოვლენილი შეცდომის გასწორების მიზნით მოხდა საწყისი ნაშთების გადაანგარიშება, კერძოდ:

ანგარიშგების დანართი №1-ში №1220 ანგარიშის საწყისი ნაშთი შეადგენდა 422007 ლარს, რომელიც გაიზარდა 18749 ლარით, აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია კომერციულ ბანკში 2016 წელს რუბლის ანგარიშზე „რეფერალური პროგრამის“ (კოდი: 35030309) ფარგლებში თანხის მობრუნებით, რომლის შესახებაც ინფორმაცია მოწოდებულ იქნა 2017 წელს. საანგარიშო პერიოდის ბოლოს აღნიშნულ ანგარიშზე რუბლის ნაშთი შეადგენს 17120 ლარს. 672494 ლარი არის კომერციულ ბანკებში განთავსებული ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული თანხები. დარჩენილი სხვაობა - 312 ლარი, გამოწვეულია წინა წლებში ლიკვიდირებული ორგანიზაციებისგან გადმოცემული თანხებით.

№1230 ანგარიშზე საბოლოო ნაშთი 643525 ლარის ოდენობით არის ხაზინაში განთავსებული ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში არსებული თანხები.

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლის ნაშთი შეადგენდა 801595 ლარს, საანგარიშო პერიოდში შემოსავალმა შეადგინა 1238773 ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა 724351 ლარი. შესაბამისად, ფულადი ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოს დარჩა 1316017 ლარი, საიდანაც 672492 ლარი კომერციულ ბანკებშია განთავსებული (ანგ. №1220) და 643525 ლარი ხაზინაში ანგარიშზე არასაბიუჯეტო სახსრების (ანგ. №1230).

მიზნობრივი გრანტის ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოს (ანგ. №1240) შეადგენს 4796376 ლარს.

ხაზინის სავალუტო ანგარიშზე არსებული თანხებიდან 3382353.43 აშშ დოლარი არის დონორების მიერ უცხოურ ვალუტაში ჩარიცხული მიზნობრივი გრანტი და შესაბამისი კურსით ლარში (3382353.43 x 2.5922) შეადგენს 8767737 ლარს და ასახულია №1280 ანგარიშზე, დანარჩენი - 12007.68 აშშ დოლარი და 14143.82 ევრო შეადგენს 75034 ლარს და აღრიცხულია №1270 ანგარიშზე.

ფულადი გრანტის ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 8981701 ლარს. საანგარიშო პერიოდში ჩარიცხულია 35246016 ლარი, კურსთაშორისი სხვაობით გაიზარდა 417100 ლარით, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 31319598 ლარი. საკასო ხარჯი ასახულია № 2, 3, 4 დანართებში. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფულადი გრანტის ნაშთია 13564114 ლარი.

ანგარიში №1370 შედგება სამედიცინო დაწესებულებების შემოწმებების შედეგად გამოვლენილი, სხვადასხვა ჯანდაცვის პროგრამიდან ჩარიცხული თანხების კორექტირებით წარმოქმნილი მოთხოვნებისგან.

ანგარიშის №1431 ზრდა გამოწვეულია საქონლის და მომსახურების შესყიდვის მიზნით საანგარიშო პერიოდის ბოლოს თანხების ავანსად გადარიცხვით.

№1432 ანგარიშზე საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის არსებული ნაშთი შეადგენდა 2911252 ლარს, საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა დანართი №3 შესაბამისად, შეადგინა 12283077 ლარი, ხოლო დანართი №5 თანახმად, მიღებულია 12546967 ლარის ძირითადი აქტივები, წარმოიქმნა კრედიტორული დავალიანება №3220 ანგარიშზე - 44784 ლარი და №3333 ანგარიშზე - 2074150 ლარი, რომელიც წარმოქმნილია არამატერიალური აქტივის შეძენით. ასევე მოხდა დებიტორული დავალიანების შემცირება: სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნდა 232219 ლარი და სასამართლო გადაწყვეტილებით და ექსპერტიზის დასკვნის შედეგად დაკორექტირდა და შემცირდა 8763 ლარით. შესაბამისად, დებიტორულმა დავალიანებამ შეადგინა $2911252 + 12283077 - 12546967 + 44784 + 2074150 - 232219 - 8763 = 4525703$ ლარი.

ანგარიშზე № 1511 ასახულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №309 განკარგულების საფუძველზე გაცემული გრძელვადიანი საბიუჯეტო სესხები.

ანგარიშის № 3110 ნაშთი შედგება ხაზინაში №1260 ანგარიშზე 10600 ლარის და №1270 ანგარიშზე 35849 ლარისგან.

ანგარიშის № 3210 შემცირება საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის არსებულ ნაშთთან შედარებით გამოწვეულია ვალდებულების კლებით დავალიანების დაფარვით და სასამართლოს გადაწყვეტილებებით კრედიტორული დავალიანებების ჩამოწერით.

ანგარიშის № 3333 ასახულია 2015 წლის 16 ივნისის საქართველოს მთავრობის №1235 განკარგულების თანახმად სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურისგან შეძენილი არამატერიალური აქტივების - Microsoft-ის ლიცენზიების ღირებულება.

ანგარიშგების №2 დანართში გრანტების საკასო და ფაქტობრივ ხარჯებს შორის სხვაობა გამოწვეულია შემდეგით: 62922 ლარი დაუბრუნდა დონორს, 238895 ლარი გადატანილია 3504 კოდიდან - 350101 კოდზე, წარმოიქმნა დებიტორი 315000 ლარი, დანართი №5 თანახმად, ერთი დონის სახელმწიფო ერთეულებზე გადაცემულია 15197847 ლარის არაფინანსური აქტივები (4118094-62922-238895-315000+15197847=18699124).

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლში სხვაობა საკასო და ფაქტობრივ ხარჯს შორის ძირითადად გამოწვეულია ”ჩ“ ჰეპატიტის პროგრამის ფარგლებში უსასყიდლოდ მიღებული მედიკამენტების ამავე პროგრამებში ჩართულ ბენეფიციარებზე ასევე უსასყიდლოდ გადაცემით.

„სხვა ხარჯების“ მუხლით სხვაობა საკასო და ფაქტობრივ ხარჯს შორის გამოწვეულია დებიტორის - 5050000 ლარის, კრედიტორი - 1208 ლარის წარმოქმნით, 278 ლარი - ქონების გადასახადის დარიცხვით, რომელიც არ გადარიცხულა და გაიქვითა ზედმეტად გადარიცხული თანხებით, 50 ლარით დაიფარა წინა წლის დებიტორი, ხოლო დანარჩენი თანხით მოხდა ხარჯების შემცირება.

ანგარიშგების №4 დანართში ფინანსური აქტივების კლებაში 9787 ლარი ასახულია არასაბიუჯეტო სახსრების ანგარიშზე დებიტორული დავალიანების თანხის დაბრუნება.

ანგარიშგების დანართი №5 “არასაოპერაციო შემოსავლებით” აქტივების ცვლილება გამოწვეულია აქტივების აფასებით და მუხლობრივი ცვლილებებით. ინვენტარიზაციის შედეგად დანაკლისის ანგარიში შემცირდა დანაკლისიდან აღდგენილი აქტივების ღირებულებით 2453 ლარი და ჩამოიწერა 2852 ლარის ძირითადი აქტივები, ხოლო დანაკლისში გადატანილი იქნა 9181 ლარის აქტივი. ძირითადი კაპიტალის მოხმარება ასახავს ძირითადი აქტივების ფიზიკურ ცვეთას.

უსასყიდლოდ (გრანტით და სხვა შემოსავლებით) მიღებული მედიკამენტების ხარჯვა ხდება სხვადასხვა სამედიცინო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებზე და ასახულია სოციალური დახმარების მუხლში.

ანგარიშგების დანართი №6 ვალუტა/დეპოზიტის აფასებით და მარაგების შემენისას კურსთა შორის სხვაობით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1189025 ლარი, ხოლო ხარჯმა 239997 ლარი, დებიტორი შემცირდა 205889 ლარით; კრედიტორის ჩამოწერა 1135826 ლარი, საიდანაც სააღსრულებო ფურცლით შემცირებულია 28782 ლარი, კრედიტორული დავალიანების აღიარება 70441 ლარი. კურსთაშორის სხვაობით დებიტორული/კრედიტორული დავალიანება არ წარმოქმნილა.

ფორმა №3 შედგენისას გამოყენებულია ფულადი სახსრების აღრიცხვის პირდაპირი მეთოდი. დებიტორული დავალიანების ზრდა/კლების გაანგარიშებისას არ არის გათვალისწინებული №1432 და №1511 ანგარიშებზე რიცხული დებიტორული დავალიანებები და №3220, №3333 ანგარიშებზე რიცხული არაფინანსური აქტივების შემენით წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებები.

№3333 ანგარიშზე კრედიტორული დავალიანების წარმოქმნა გამოწვეულია 2014 წლის 15 ივლისის საქართველოს მთავრობის №1235 განკარგულების საფუძველზე სსიპ საფინანსო-ანალიტიკურ

სამსახურსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის 2015 წლის 23 ოქტომბრის №216/ზ ხელშეკრულების თანახმად 322793 ლარის და 2017 წლის 31 ივლისს გაფორმებული №131/ზ ხელშეკრულების საფუძველზე 2074150 ლარის ღირებულების არამატერიალური აქტივის, მაიკროსოფტის ლიცენზიების, მოწოდებით. რადგან სამინისტროს არ ქონდა შესაბამისი ფინანსური რესურსი და ვერ მოხდა ვალდებულების აღება, კრედიტორული დავალიანების ასახვა მოხდა №3333 ანგარიშზე.

ფულადი სახსრების სხვაობა 211480 ლარი ოდენობით გამოწვეულია არაფინანსური აქტივების შეძენისთვის წინა წლებში ავანსად გადარიცხული 232219 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებით, ექსპერტიზის დასკვნის შედეგად დებიტორის შემცირებით 8763 ლარით და მიზნობრივი გრანტის ფარგლებში არაფინანსური აქტივების შეძენისას გადახდილი დამატებითი ღირებულების გადასახადის ბიუჯეტიდან დაბრუნებით 29500 ლარის ოდენობით.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ოქტომბრის №1830 განკარგულებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მართვის უფლებით 5 წლით გადმოეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“. მისი 2017 წლის საქმიანობის ფინანსური შედეგია: საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის ცენტრის კაპიტალი შეადგენდა 27 403 387 ლარს. საანგარიშო წელს შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ კაპიტალი გაიზარდა და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგინა 32 246 725 ლარი. ორგანიზაციის შემოსავალი სულ იყო 8937273 ლარი (მათ შორის, საოპერაციო შემოსავალი 8385084 ლარი და არასაოპერაციო 552189 ლარი), ხოლო ხარჯები 11332532 ლარი, მათ შორის, საოპერაციო ხარჯი 9075833 ლარი, არასაოპერაციო ხარჯი - 882 ლარი, ცვეთა/ამორტიზაცია - 2255817 ლარი). შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრმა“ საანგარიშო წელი დაასრულა ზარალით - 2395259 ლარი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE